განმარტებითი ბარათი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 06 თებერვალს გამოცხადებული №673 კონკურსის მოთხოვნაა ქ. თბილისში, ზემო ფონიჭალაში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ტერიტორიაზე არსებული, დახურული საცურაო აუზის შენობის რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა. დასახული ამოცანის გადასაჭრელად შპს „გეომეფი”-ს საპროექტო ჯგუფმა გაითვალისწინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა და შემსყიდველის განმარტება მრავალფუნქციური გამაჯანსაღებელი სპორტული კომპლექსის შესაქმნელად.

საპროექტო ობიექტი წარმოადგენს ორსართულიან კაპიტალურ ნაგებობას. შენობის გაბარიტული ზომები გეგმაში 30X30.5მ-ია. მისი კედლები აგურითაა ნაშენი, ხოლო მცირე და დიდი ზომის საცურაო აუზები რკინაბეტობის კონსტრუქციითაა გადაწყვეტილი.

შენობა-ნაგებობის ფუნქციური ტექნიკური დავალებიდან გამომდინარე I და II სართულზე ოთახები განლაგდება შემდეგნაირად: მთავარი შესასვლელიდან გადავდივართ ფოიეში (№16), რომლის ფართობი 89.9მ^2-ია. მისი იატაკის დონე არჩეულია ნულოვან ნიშნულად. ფოიეს მარჯვნიდან და მარცხნიდან უერთდება დერეფანი, საიდანაც შეიძლება აღმოვჩნდეთ სპორტულ, მაგიდის ჩოგბურთის, მომსახურე პერსონალის, სადამკვირვებლო კამერების, სამედიცინო მომსახურების, ინსტრუქტორის, სპეც. ინვენტარის, დამლაგებლის, მამაკაცდა და ქალთა საშხაპე-საპირფარეშო ოთახებში. დერეფნები შენობის გვერდითა ფასადებთან ბოლოვდება სათადარიგო შესასვლელებით. აქვე სიმეტრიულად მოწყობილია დამხმარე კიბის უჯრედები. ცენტრალური კიბის უჯრედი ფოიედან ხელმარცხნივაა. უკანა ნაწილში, რომლის იატაკი 1.65მ-ით დაბლაა ნულოვანი ნიშნულიდან, მოეწყობა საქვაბე, ელმომარაგების, გაზმომარაგების, სავენტილაციო და სხვა შიდა სამეურნეო სისტემათა გამანაწილებელი პუნქტები. როგორც ცენტრალური, ასევე დამხმარე კიბის უჯრედების საშუალებით ავდივართ მე-2 სართულზე, აქ კი დერეფანი გვაძლევს საშუალებას აღმოვჩნდეთ ჩვენთვის საჭირო ოთახში, როგორიცაა მენეჯერის, ქალთა და მამაკაცთა გასახდელი ოთახები, საშხაპეები, კრივის, ძალოსნური თუ საჭიდაო დარბაზები. ეს უკანასკნელი ცენტრალურადაა განთავსებული და კორიდორიდან ვიტრაჟითაა გამხოლოებული, რაც შენობის ფუნქციური დანიშნულების

ეფექტს კიდევ უფრო ზრდის. მე-2 სართულის უკანა ნაწილში საცურაო აუზია მოწყობილი, რომლის ზომებია 25X8.5მ

შენობის ოთხივე ფასადი ეკლარისა და დეკორატიული ფილების კომბინაციით მოიჭიქება. მთავარი ფასადის ბრტყელი ზედაპირები შეიმოსება უჟანგავი ფოლადის მილკვადრატების ზოლოვანი პროფილებით (იხ. დანართი), რაც სასიამოვნოდ ერწყმის ცენტრალურ შესასვლელში მოწყობილ რომბისებურ ფერადი მინის ვიტრაჟს. ფერადი მინები დაამშვენებს ასევე სხვა ფასადების ფანჯრის ღიობებს. ცენტრალური შესასვლელის ბაქანი და საფეხურები შავი გრანიტის ფილებით შესრულდება.

შენობის ფოიეში, კორიდორებსა და კიბის უჯრედებში იატაკები ხელოვნური გრანიტის ფილებით მოეწყობა. სპორტული, კრივის, საჭიდაო თუ საჩოგბურთო დარბაზებში მოეწყობა ხის იატაკები, ხოლო გასახდელებში, სამედიცინო მომსახურეთა, მენეჯერის, დამლაგებლის, ინსტრუქტორის ოთახებში იატაკები წარმოდგენილი იქნება ლამინირებული პარკეტისაგან. სველ წერტილებში ეს უკანასკნელი დაიფარება მეტლახის ფილებით. შიდა კედლები სპორტულ დარბაზებში შეილესება, შეიფითხვნება და შეიღებება. კაბინეტებში, ფოიესა და კორიდორებში შეიმოსება თაბაშირმუყაოს ფილებით, ხოლო სველ წერტილებში გამოყენებულ იქნება კაფელი. მთელ შენობაში მოეწყობა შეკიდული ჭერი, რომლის შემადგენელი ელემენტების სახეობა გადაწყდება დამკვეთთან შეთანხმებით. დარბაზებსა და ოთახებში შესასვლელი კარები შესრულდება ძვირფასი ხის მასალისაგან, ხოლო სველ წერტილებში – მეტალოპლასტმასით.

რაც შეეხება შენობის კონსტრუქციულ ნაწილს, თანახმად ექსპერტიზის დასკვნისა, ის მდგრადია და საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. ამდენად, სამუშაოთა დაწყების წინ უნდა განხორციელდეს მე-2 სართულის გადახურვის რემონტი, რომლის დროსაც გადახურვის ფილებს უნდა მოცილდეს ბეტონის დაზიანებული ფენები, ხოლო გაშიშვლებული და კოროზირებული არმატურის ღეროები გასუფთავდეს ლითონის ბზინვარებამდე, დაიფაროს ანტიკოროზიული ლაქით დამცავი ფენის აღდგენა მოხდეს პოლიმერცემენტის ხსნარით. მთელ სახურავზე ახლად მოეწყოს ბურული. ძალზე მნიშვნელოვანია საცურაო აუზის აღდგენისას სამუშაოთა სწორად წარმართვა. გულმოდგინედ უნდა გასუფთავდეს მისი შიდა ზედაპირი, დაიფაროს ჰიდროსაიზოლაციო ფენით. ასევე ჰიდროსაიზოლაციო ფენით უნდა დაიფაროს ბასეინის ჭერი, მისი გარე ზედაპირი და კედლები, თუმცა აღნიშნული ფენის მოწყობამდე ყველა ზედაპირი უნდა

დაიფაროს ბიოციდის შემცველი საკოსსაწინააღმდეგო ფენით, რათა ავირიდოთ ტენიან გარემოში ობის სოკოების ზემოქმედებით დასახელებული ზედაპირების დაშლა. ყოველივე ზემოთთქმულის შემდგომ შესაძლებელია დეკორაციული მოპირკეთების განხორციელება. მნიშვნელოვანია ფართის კარგი ვენტილაციის მოწყობა და პერიოდულად მათი ქიმიური დამუშავება.

იმისთვის რომ ბასეინი აკმაყოფილებდეს სანიტარულ ნორმებს, საჭიროა მასში არსებული წყალი პერიოდულად იცვლებოდეს და სუფთავდებოდეს, რისთვისაც აუცილებელია 24 საათის განმავლობაში ხდებოდეს ცირკულაცია გასუფთავებული წყლის მიწოდებითა და ზედა ფენებიდან მისი გადაღვრით ღარში, რომელიც გარს აკრავს აუზს მთელ პერიმეტრზე. მიწოდებული წყლის ტემპერატურა უნდა იყოს კომფორტული (29-30^{0}C).

არსებული მცირე ზომის მეორე ბასეინი უქმდება და მის ადგილზე მოეწყობა ზემოთხსენებული საჭიდაო დარბაზი.

მთელ შენობაში ახლადაა მოსაწყობი გათბობის, წყალმომარაგების, ვენტილაციისა და კანალიზაციის სისტემები.

პატივისცემით:

შ.პ.ს. „გეომეფი“-ის დირექტორი: *დ.კვარაცხელია*

სატენდერო წინადადება

თარიღი: 14 თებერვალი 2013 წ.

ვის: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ს/ნ 204383176

ვისგან: შ.პ.ს. "გეომეფი"

შევისწავლეთ რა საკონკურსო დოკუმენტაცია. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ ზემო ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციიების ცენტრის ტერიტორიაზე არსებული დახურული საცურაო აუზის შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენა და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად:

49895 (ორმოცდაცხრაათას რვაასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლი.

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ საპროექო სამუშაოების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ 40 კალენდარული დღის განმავლობაში.

ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მიღება-ჩაბარბის აქტის სათანადო წესით გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარულ დღეში.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონსა" და „სახელმწიფო შესყიდვების განხორცილელების შესახებ" დებულებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

პატივისცემით:

შ.პ.ს. „გეომეფი“-ის დირექტორი: *დ.კვარაცხელია*

მის.: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. № 7; ტელ.: 790991929, 891163016,; ელ. ფოსტა: gogakv@caucasus.net, gogakv@geomap.pro

1. რეკვიზიტები:

ფირმისდასახელება:	*შ.პ.ს. „გეომეფი“*
საიდენტიფიკაციო კოდი:	*215149177*
დირექტორი:	*დათა კვარაცხელია*
კომერციული დირექტორი:	*გოგა კვარაცხელია*
იურიდიული მისამართი:	*ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. #7*
ფაქტიური მისამართი:	*ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. # 166*
ტელ. ნომერი:	*790 991929, 591163016*
ელ. ფოსტა:	*gogakv@caucasus.net / gogakv@geomap.pro*
მომსახურე ბანკი:	*სს „პროკრედიტ ბანკის“ ზუგდიდის ფილიალი*
ბანკის კოდი:	*MIBGGE22*
ანგარიშისნომერი:	***GE34PC0173600100030015***

პატივისცემით:

შ.პ.ს. „გეომეფი“-ის დირექტორი: *დ.კვარაცხელია*

საპროექტო სამუშაოების განფასების ცხრილი					
#	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზ.	$მ^2$	ღირებულება	ჯამი
1	არქიტექტურული მუშა პროექტი	$მ^2$	1605	5	8025
2	კონსტრუქციული პროექტი	$მ^2$	1605	2	3210
3	გეოლოგიური კვლევები (აუცილეებლობის შემთხვევაში)	$მ^2$	1605	0,5	802,5
4	სანტექნიკური პროეექტი	$მ^2$	1605	0,5	802,5
5	გათბობა-გაგრილების პროექტი	$მ^2$	1605	0,5	802,5
6	აუზის წყლის გათბობის და ფილტრაციის პროექტი	$მ^2$	1605	4	6420
7	ვენტილაციის პროექტი	$მ^2$	1605	0,5	802,5
8	ელ. ტექნიკური პროექტი	$მ^2$	1605	0,6	963
9	სუსტი დენების პროექტი: ა) სახანძრო სიგნალიზაცია ბ) სადამკვირვებლო კამერები გ) სატელოფონო ქსელები დ) სატელევიზიო ქსელები ე) კომპიუტერული და ინტერნეტ ქსელები	$მ^2$	1605	0,5	802,5
10	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი	$მ^2$	1605	1,5	2407,5
11	მშენებლობის საორენტაციო ხარჯთაღრიცხვა	$მ^2$	1605	2	3210
	პირდაპირი დანახარჯი		5%		1412,4
	საშემოსავლო		20%		5932,08
	ჯამი				35592,48
	ზედნადები ხარჯი		10%		3559,248
	ჯამი				39151,73
	გეგმიური დაგროვება		8%		3132,138
	ჯამი				42283,87
	დ.ღ.გ		18%		7611,096
	ჯამი				49895,0

პატივისცემით:

შ.პ.ს. „გეომეფი"-ის დირექტორი: *(ბ.ალფოროხელია)*

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე № 0

ID 284125354

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გადამხდელის დასახელება პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი ანგარიშის ნომერი გადამხდელის ბანკი	შპს გეომეფი 215149177 GE34PC0173600100030015 სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22	თანხა ციფრებით 50.00 **GEL** თანხა სიტყვებით ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი
საბიუჯეტო / სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა დასახელება პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი		სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) ☑ სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:00 სთ-მდე
მიმღების დასახელება ანგარიში / სახაზინო კოდი მიმღების ბანკი / ხაზინა	ს.ს.ი.პ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო GE52BR0000010591718543 სს "ბანკი რესპუბლიკა" კოდი REPLGE22	ბანკის აღნიშვნები
გადახდის დანიშნულება დამატებითი ინფორმაცია	შინაგან საქმეთა სამინისტროs მიერ გამოცხადებული კონკურსის,საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასური ს/ კ204383176,საკონკურსო განაც:673. 07.02.2013წ.	ბანკში შემოსვლის თარიღი **14.02.2013 15:50** ხელმოწერა
ხელმომწერები -	ბეჭდის ადგილი თარიღი: **14.02.2013**	- - - - - - - - - - - - - - - - პროკრედიტ ბანკი PROCREDIT BANK ელექტრონული მომსახურების სერვისი ELECTRONIC SERVICE CENTER

/ 3